



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია  
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ფილოლოგია

*ხელნაწერის უფლებით*

თამარ პატაშური

სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნის ასპექტები  
ინგლისური, ჩინური და ქართული ტექსტების მიხედვით

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

თბილისი

2019

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში.

**სამეცნიერო ხელმძღვანელები:**

**ლელა აბდუშელიშვილი** -განათლების მეცნიერების დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
**ლიუ კუანგხუა** - სამართლის დოქტორი, ჩინეთის ლანჭოუს უნივერსიტეტის პროფესორი

**ოფიციალური ოპონენტები:**

**თამარ ნატროშვილი** - ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
**ნათელა მოსიაშვილი** - ფილოლოგიის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 2019 წლის „\_\_\_\_\_“ \_\_\_\_\_ საათზე. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0162, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N 53ა, ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის დარბაზი, IV სართული.

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2019 წლის \_\_\_\_\_  
სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის  
სწავლული მდივანი, ფილოლოგიის დოქტორი,

**პროფესორი ნინო მამარდაშვილი**

# სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

## თემის აქტუალურობა

თემის აქტუალურობა განპირობებულია საქართველოს, უცხოეთის ქვეყნებსა და ჩინეთს შორის მჭიდრო საბაზრო და საქმიანი ურთიერთობების გაფართოებით აბრეშუმის გზის ეკონომიკური პროექტის „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ ფარგლებში. ნიშანდობლივია, რომ ჩინეთი საქართველოს მესამე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. რაც აისახება ამ ორ ქვეყანას შორის გაფორმებულ მრავალ ხელშეკრულებაში.

შესაბამისად საჭიროა ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენაზე სამუშაო დოკუმენტაციის სათანადო დონეზე მომზადება, რაც საჭიროებს მთარგმნელთა შესაბამის კომპეტენციებს და თარგმნის სხვადასხვა ასპექტებზე ყურადღების გამახვილებას.

## კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია სამართლებრივი დოკუმენტების აღნიშნულ სამ ენაზე თარგმნის სხვადასხვა ასპექტების სტანდარტიზაცია, მთავარი რთული მთარგმნელობითი ელემენტების დადგენა და შესაბამისი მეთოდიკით სირთულეების დაძლევა. მისი ამოცანაა ინგლისური, ჩინური და ქართული სამართლებრივი ტექსტების თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზის მეშვეობით კვლევა შინაარსობრივი, ფორმალურ-სემანტიკური და სტრუქტურულ-სემანტიკური მიმართულებით.

## ნაშრომის ძირითადი სიახლე

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ქართულ რეალობაში აღნიშნულ სამ ენაზე არსებული სამართლებრივი დოკუმენტების ლინგვისტური ანალიზი, მათში

აღმოჩენილი თარგმნის სირთულეების დაძლევა და შესაბამისი მეთოდური რეკომენდაციების გაცემა.

## **თეორიული და პრაქტიკული ღირებულება**

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს აღნიშნულ სამ ენაზე სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნის კანონზომიერებების დადგენა, რაც გვეხმარება თარგმნის პროცესში არსებული პრობლემების დაძლევაში და ტერმინთა ჰარმონიზაციაში.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება განისაზღვრება იმით, რომ კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის შედეგად ჩვენს მიერ შეიქმნა მრავალი სასწავლო მასალა/კურსი, რომლებიც წარმატებით დაინერგა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩინური ენის სწავლების პროცესში. ეს კი, საკმაოდ საინტერესო საფუძველია შესაბამისი დაკვირვებისა და დასკვნების გასაკეთებლად.

## **კვლევის მეთოდები**

კვლევის მეთოდებად შევარჩიეთ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა-კითხვარი და დაკვირვება. მათი მეშვეობით დავადგინეთ როგორ ხდება სხვადასხვა გამოთქმების უჩვეულო ფორმების გამოყენება, სიტყვების შერჩევა და წინადადებების აგება სისტემურ ფუნქციურ გრამატიკაში (SFG) მოდალობის სისტემის და სამართლებრივი ენის თეორიის საფუძველზე. მოცემული კვლევა დაიგეგმა ჩინური იურიდიული დისკურსების ინგლისურად და ქართულად თარგმნაში მოდალობის სისტემის შეფასებისა და თარგმანთან დაკავშირებული პრობლემების დადგენისა და განხილვის მიზნით.

საკვლევი მასალა შეადგენს სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტებიდან ამოღებულ ნიმუშებს, რომლებიც შევარგოვეთ ორი წლის განმავლობაში ერთ-ერთ ჩინურ კომპანიაში მთარგმნელად მუშაობის დროს და გამოვიყენეთ პრაქტიკულ მასალად ჩინური ენის სასწავლო კურსების მსვლელობისას. მასალები დანართის სახითაა წარმოდგენილი.

# ნაშრომის ძირითადი შინაარსი

## შესავალი

*შესავალში* მოკლედ არის წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტაციის სახეები, მათი სპეციფიკა და თარგმანთან დაკავშირებული პრობლემები. სამართლებრივი დოკუმენტების თარგმანი იმდენად აქტუალურია, რომ მისი პოპულარობა საგრძნობლად გაიზარდა. ასევე, იზრდება თარჯიმნების დაინტერესება ამ სფეროს მიმართ, რაც მათ მნიშვნელოვან მოთხოვნებს უყენებს.

ამჟამად საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია საბაზრო და ეკონომიკური წინსვლა, ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი განვითარება საერთაშორისო მასშტაბით, საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობა, ქართული ბაზრის გარდაქმნა სრულყოფილ ბაზრად, საერთაშორისო სავაჭრო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და ქვეყნის საგარეო სტრატეგიის ხელშეწყობა. ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტების მომზადება, რაც მოითხოვს აღნიშნული ენების ზედმიწევნით ცოდნას და მათ სტრატეგიულ გამოყენებას.

# თავი I

## მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების და საქართველოს სამართლის მომიხილვა

ნაშრომის პირველი თავი აერთიანებს თოთხმეტ პარაგრაფს:

1.1. სამართლის წარმოშობა საქართველოში; 1.2. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეცნიერება; 1.3. სამართლის ძეგლებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების ტერმინები და მათი შინაარსი; 1.4. ანგლოამერიკული სამართალი; 1.5. განსხვავება კონტინენტური ევროპისა და ანგლოამერიკული სამართლის სისტემებს შორის; 1.6. ჩინური სამართლის წარმოშობის ისტორია და განვითარება; 1.7. კონფუციანიზმი და ლეგალიზმი; 1.8 კონფუციანიზმი; 1.9. ლეგალიზმი; 1.10. კონფუციანიზმის და ლეგალიზმის შედარება; 1.11. ჩინეთის სამართლის მოდერნიზება; 1.12. ჩინეთის სახელმწიფო რესპუბლიკის სამართალი; 1.13. სამართლებრივი უფლებები; 1.14. კანონის უზენაესობა. კვლევამ ცხადყო, რომ, სავარაუდოდ, პირველყოფილ, წინასახელმწიფოებრივ საზოგადოებაში არსებობდა ერთიანი მონონორმები და წეს-ჩვეულებები, სადაც ერთ ნაკადად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა ხასიათის ქცევის წესები. თუ რელიგიის ცნების ქვეშ ვიგულისხმებთ ამა თუ იმ საზოგადოებაში გაბატონებულ შეხედულებას ღმერთის თუ ღმერთების შესახებ და მათ დამოკიდებულებას ადამიანებთან, უნდა ვიფიქროთ, რომ მათი მნიშვნელობა დიდი იყო საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში. ოთხთავის უძველეს ქართულ თარგმანებში სიტყვა „სარწმუნო“ რიგ შემთხვევებში დღევანდელი მნიშვნელობით იხმარება. მისი მნიშვნელობაა აგრეთვე ერთგული, საიმედო, ნამდვილი, შეურეველი. შესაბამისად, სარწმუნოება ითვლებოდა, საიმედო, ნამდვილ მოძღვრებად, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში (რ. მეტრეველი 2013).

ვახტანგ VI-მ სჯულმდებლობის დიდი კრებული შეადგინა და ამით საქართველოს ისტორიაში ქართული სამართლის პირველი მკვლევრის, სამართლის პირველი ისტორიკოსის სახელი დაიმკვიდრა.

ქართული სამართლისგან განსხვავებით, რომელიც გერმანული სამართლის ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება, ანგლოამერიკული სამართალს განეკუთვნება ინგლისის სამართალი, დიდი ბრიტანეთის დომინიონი ქვეყნებისა და ბრიტანეთის იმპერიის ყოფილი კოლონიების სამართალი, ასევე აშშს სამართალი (გ. ხუბუა 2004).

ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, კონტინენტური ევროპისა და ანგლოამერიკულ სამართლის ოჯახის ქვეყნებს შორის არსებული განსხვავება უკავშირდება პოზიტიურ კანონმდებლობას, როგორც სამართლის წყაროს. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში პოზიტიური კანონმდებლობა სამართლის ძირითადი წყაროა. ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნებში სამართლის უმთავრესი წყაროა სასამართლო პრეცედენტი (გ. ხუბუა 2004).

ხაზგასმულია, რომ ჩინური სამართალი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია. ჩინეთის თანამედროვე სამართალი გერმანულ სამოქალაქო სამართალსა და ჩინეთის ტრადიციებს ემყარება (ლიანგი 1989).

ჩინური სამართლებრივი სისტემა ემყარება კონფუციის ფილოსოფიას. კონფუციის ფილოსოფიას ეფუძნება ასევე კოდიფიცირებული კანონი და სისხლის სამართალიც. 1911 წლის რევოლუციის შემდეგ ჩინეთის რესპუბლიკამ მიიღო დასავლური სტილის სამართლებრივი კოდექსი. ჩინური სამოქალაქო სამართალი ემყარება გერმანულ სამართალს. 1949 წლის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ ჩინეთზე საბჭოთა კავშირის სისტემამ და სოციალისტურმა სამართალმა გავლენა იქონია.

სამართალი ჩინურ ენაში ითარგმნება როგორც 法 (法). ჩინური იეროგლიფი 法 ნიშნავს „შიშს“, „სწორს“, „ზუსტს“. ეს იეროგლიფი დაკავშირებულია წყლის გასაღებთან (冫). ეს იეროგლიფი ასევე აღნიშნავს „სტანდარტს, ნორმას ან მოდელს“. დერკმ ბოდემ და კლარენს მორისმა დაადგინეს, რომ 法 ასოცირდება 義 (義-სთან და ნიშნავს „სოციალურ უფლებებს“).

უნდა აღვნიშნოთ, რომ 法-ს წინამორბედი იყო xíng (刑), რომელიც ნიშნავდა თავის მოკვეთას. Xíng მოგვიანებით დაკავშირებული იყო სასჯელთან. ისტორიულად შანგის წიგნში (Shang Shu – უძველესი 5 კლასიკური ლიტერატურის წიგნი) ნახსენებია „ხუთი სასჯელი“: დასვირინგება, დამახინჯება, დასახინჩრება, კასტრაცია და სიკვდილი.

## II თავი თარგმნის სირთულე და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ნაშრომის II თავი ეძღვნება ადეკვატური თარგმანის განხორციელებას. თარგმნა ნიშნავს, გამოხატო ზუსტად და სრულყოფილად ერთი ენის საშუალებებით ის, რაც უკვე გამოხატულია სხვა ენის მეშვეობით ისე, რომ არ დაირღვეს ფორმისა და შინაარსის მთლიანობა (ფეოდოროვი 1958). ყოველთვის, როდესაც მოხდება ფორმის ან შინაარსის დარღვევა, ეს გამოიწვევს ძალიან უხემ შეცდომას. ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ საუკეთესო საშუალებაა სიტყვასიტყვითი თარგმანი, რადგან სხვადასხვა ენას განსხვავებული ენობრივი მახასიათებლები აქვთ. ამიტომ ასეთი ტიპის თარგმანი ყოველთვის როდია შესაძლებელი: მთარგმნელმა თავი უნდა აარიდოს როგორც უხეში შეცდომების დაშვებას, ისე სიტყვავესიტყვით თარგმნას.

კვლევამ ცხადყო, რომ თარგმანი შესაძლებელია, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სამი ენის ელემენტებს შორის შესაძლებელია არსებობდეს ნაწილობრივი თანხვედრა. ამა თუ იმ კონტექსტში სამი ენის ელემენტები ფუნქციურად შეესიტყვება ერთმანეთს იმ ეკვივალენტების სახით, რომლებიც თარგმნისას გამოიყენება.

დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვის შერჩევას თარგმნის დროს.

სამი ენის სიტყვებს შორის შეიძლება არსებობდეს შემდეგი ურთიერთმიმართება:

ა) მოცემულ სიტყვას მეორე და მესამე ენაში ყოველთვის ერთი ვარიანტი შეესაბამება. ასეთ ურთიერთმიმართებას ეწოდება მუდმივი ეკვივალენტი. მაგალითად, O.N.U, 联合国 Liánhégúo – გაერო.

ბ) მოცემულ სიტყვას შეიძლება შეესაბამებოდეს სხვა ენაში მთელი რიგი კონტექსტური ეკვივალენტები, რომელთა უმეტესობაც შეიძლება არ იყოს დაფიქსირებული ლექსიკონში. მაგალითად: suffrage, 选举权 Xuǎnjǔquán – საარჩევნო ხმა, მოწონება.

გ) მოცემულ სიტყვას არ გააჩნია შესატყვისი სხვა ენაში. ამ შემთხვევაში მოცემულია არა თარგმანი, არამედ ახსნილია სიტყვის



მნიშვნელობები, მაგალითად: 中止(Zhōngzhǐ), withdrawal, discontinue – საკუთარი კანდიდატურის მოხსნა სხვის სასარგებლოდ.

დასტურდება, რომ თარგმნისას ეს სამი ეტაპი ქმნის გარკვეულ სირთულეებს. უპირველეს ყოვლისა, მთარგმნელმა უნდა იცოდეს მუდმივი ეკვივალენტი, უნდა ეყრდნობოდეს საკუთარ მეხსიერებას. ხშირად მას არ აქვს უფლება თვითნებურად შეცვალოს მოცემული ტერმინის არსებული ეკვივალენტი საკუთარი თარგმანით. მუდმივი ეკვივალენტები გამოიყენება ტერმინების, რეალიების, სხვადასხვა საგაზეთო ლექსიკის მყარი შესატყვისობების სათარგმნელად.

თარგმნისას აუცილებელია, გავითვალისწინოთ ის განსხვავება, რომელიც არსებობს გამოსახატავ ცნებათა მნიშვნელობებში. ამას გარდა, პუბლიცისტიკაში გამოიყენება ანტითეზა. რიტორიკული შეკითხვები და შემახილები, რომლებიც თარგმნისას არ ქმნის პრობლემას.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწორი თარგმანის განხორციელება შეიძლება ორიგინალის სწორი გაგების შემთხვევაში. თუმცა ორიგინალის სწორი გაგება როდი ნიშნავს სწორად თარგმნას. პოლიტიკურ სტატიებში ხშირად გამოიყენება სხვადასხვა მიზნით ფრთიანი გამონათქვამები, ციტატები. ყოველთვის უნდა მოიძებნოს შეძლებისდაგვარად ციტატის შესაბამისი თარგმანი. არ შეიძლება მთარგმნელმა თავისი სიტყვებით თარგმნოს ციტატა თუ ის რომელიმე ნაწარმოებიდანაა ამოღებული.

### III თავი თეორიული ცნებები

ნაშრომის *III თავი* ეძღვნება იურიდიულ ცნებებს. იგი რამდენიმე ქვეთავისაგან: 3.1 სამართალმცოდნეობის ცნება; 3.2. იურიდიული ტერმინის ცნება; 3.3. ტერმინოლოგია; 3.4. ტერმინი; 3.5. ცნება;

ტერმინი სამართალმცოდნეობის ცნება, იგივე იურისპუდენციის განმარტება და განსაზღვრა არ არის მარტივი ამოცანა და

არსებობს მისი მრავალი დეფინიცია. მისი შინაარსი არის საკმაოდ ვრცელი და კომპლექსური.

სამოქალაქო განათლების ლექსიკონის მიხედვით სამართალ-მცოდნეობა თავის თავში მოიცავს სამართლის შესახებ მეცნიერებათა ერთობლიობას; იურისტების პრაქტიკულ საქმიანობას, სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებებს. სამართალი არ არსებობს საზოგადოების გარეშე და საზოგადოება სამართლის გარეშე (ლ. ალექსიძე 2010).

ყველა სფეროს საკუთარი ტერმინოლოგია აქვს. მეცნიერება არ არსებობს ტერმინოლოგიის გარეშე. ჩვენ შეიძლება ტერმინოლოგია განვსაზღვროთ როგორც სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც იკვლევს ტერმინების სტრუქტურას, ფორმაციას, განვითარებას და გამოყენებას სხვადასხვა სფეროში (ლ.ალექსიძე 2010).

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ცნებების განმარტება აუცილებელია მთარგმნელებისათვის. ეს მათ დაეხმარებათ იურიდიული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ყველა სამართლებრივი კონცეპტი უნდა ეფუძნებოდეს იმ ატრიბუტებს, რომლებსაც ის ატარებს. აუცილებელია, მთარგმნელებმა ერთმანეთისგან განასხვავონ ეს თეორიული ცნებები.

## თავი IV

### იურიდიული ენისა და იურიდიული ტერმინოლოგიის თარგმნის თავისებურებები

ნაშრომის *IV თავი* ეძღვნება იურიდიული ენისა და იურიდიული ტერმინოლოგიის თარგმნის თავისებურებებს და შედგება რამდენიმე ქვეთავისაგან: 4.1. იურიდიული ენა; 4.2. პოლისემია; 4.3. ეკვივალენტები; 4.4. ფუნქციური ეკვივალენტობა; 4.5. ფორმალური ეკვივალენტობა; 4.6. ტრანსკრიფცია; 4.7. აღწერითი თარგმანი.

იურიდიული თარგმანი, როგორც ცალკეული დარგი, მოიცავს სამართალმცოდნეობის სფეროს, რომელიც უკავშირდება ქვეყნის კულტურულ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მახასიათებლებს.

შესაბამისად, საჭიროა გამოვიყენოთ სხვადასხვა მეთოდები, რომელთა მეშვეობით შინაარსის გადმოცემას ეფექტურად და გასაგებ ენაზე შევძლებთ.

აღწერილობითი თარგმანი ემსახურება კულტურული თავისებურების ახსნას ჟანრული ტერმინების გამოყენებით. ამგვარად, ტრილოგია *contraventions, delits, crimes* არის მიღებული შემდეგი ეკვივალენტებისგან *minor offences, major offences and serious crimes* = 轻微罪行, 重大罪行, 严重罪行 (*Qīngwéi zuìxíng, zhòngdà zuìxíng, yánzhòng zuìxíng*) = „უმნიშვნელო დანაშაულები, ძირითადი სამართალდარღვევები და სერიოზული დანაშაულები“, უესტონი ან *minor infringements, intermediate offences and serious crimes* = 未成年人侵权行为, 中间的罪行, 严重的罪行 (*Wèi chéngnián rén qīnquán xíngwéi, zhōngjiān de zuìxíng, yánzhòng de zuìxíng*) „უმნიშვნელო დარღვევები, საშუალო სამართალდარღვევები და სერიოზული დანაშაულები“ (კერნზი და მაკეონი 1995). ამ ხერხის ძირითადი უარყოფითი მხარე მდგომარეობს შესაბამისი ლაკონიური და ზუსტი ეკვივალენტის მოძებნის სირთულეში.

ამდენად, მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს მიმღები ადრესატის იდენტობა და მოლოდინები (ლინგვისტური ვარიანტი, ცოდნის დონე) და ნათარგმნი დოკუმენტის ფუნქცია, დანიშნულება, რაც შეიძლება სულაც არ ემთხვეოდეს ორიგინალს. მაგალითად, გარანტიის თუ საერთაშორისო კონტრაქტის შემთხვევაში, თუ ნათარგმნი ტექსტი შექნილია იმისათვის, რომ მისცეს მას იურიდიული ეფექტი, ამ დროს მთარგმნელი თავის სტრატეგიებს მიმართავს იმ ენისკენ, რომელზეც ასრულებს თარგმანს; ამის საპირისპიროდ, თუ თარგმანი პასუხობს უბრალოდ ინფორმაციის მიღების საჭიროებას, აქ დაჭერილი უნდა იქნეს მთავარი აზრი. სასურველია რეფორმულირდეს საწყის ენაზე. ამ შემთხვევაში ნათარგმნი იქნება როგორც ორიგინალის მარტივი კომენტარი.

## თავი V

### ქართული, ინგლისური და ჩინური ენის სინტაქსის შედარებითი ანალიზი

ნაშრომის *V თავში* განხილულია ქართული, ინგლისური და ჩინური ენის სინტაქსის შედარებითი ანალიზი; 5.1. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის ენობრივი თავისებურებები; 5.2. ქართული, ინგლისური და ჩინური დოკუმენტაციის სინტაქსური თავისებურებები; 5.2.1. ქართული ენის სინტაქსი; 5.3. ინგლისური ენის სინტაქსი; 5.4. ჩინური ენის სინტაქსი; 5.5. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის სინტაქსური თავისებურებები.

საქმიან საბუთებში ფიქსირდება სხვადასხვა ტიპის წინადადებები. ამ სხვადასხვაობას განაპირობებს განკერძოებულ გამოთქმათა და გავრცობილ ერთგვაროვან წევრთა აქტივიზაცია და სიხშირე. ეს განსხვავებულობა გვხვდება ისეთ ჟანრებში, რომლებიც, ტექსტის ინფორმაციულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. წარმოგიდგენთ სხვადასხვა სინტაქსურ ერთეულებს:

რთული ქვეწყობილი წინადადებები:

„ეს არის აბრეშუმის გზის პროექტის ხალი ნაწილი, რომელიც განხორციელდა წარმატებით საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და ჩინეთის უშუალო მონაწილეობით“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 02.09. 15.).

“This is part of a new Silk Road project successfully implemented with the direct participation of Georgia, Azerbaijan, Kazakhstan and China” (Prime Minister’s speech, 02.09 .15).

“这是在格鲁吉亚、阿塞拜疆、哈萨克斯坦和中国的直接参与下成功实施的新丝绸之路项目的一部分” (2015年9月2日总理讲话)。

სამართლებრივ დოკუმენტებში რთულ თანწყობილ წინადადებებს ახასიათებს თავისებური წყობა, რაც თარგმნისას იცვლება. ინგლისური თარგმანი კი ქართულის მსგავსია.

## თავი VI

### მოდალობა – ქართული, ინგლისური და ჩინური სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნისას

ნაშრომის *VI თავი* ეძღვნება მოდალობის მნიშვნელობას აღნიშნულ სამ ენაზე თარგმნისას. მეექვსე თავში განხილულია: 6.1. მოდალობა ინგლისურ, ქართულ და ჩინურ ენებში და მისი გამოხატვის საშუალებები; 6.1.1. ზოგადი, შესავალი; 6.2. მოდალური ზმნები; 6.3. კილო; 6.3.1 კავშირებითი კილო; 6.3.2 ბრძანებითი კილო; 6.4. მოდალური ზმნები და ნაწილაკები; 6.5. ინფინიტივის შემცველი კონსტრუქცია; 6.6. მოდალური ზმნა CAN ინგლისურ ენაში და ქართულ ენაში მისი გრამატიკულ-სემანტიკური შესატყვისები; 6.6.1 II თურმეობითი; 6.6.2. წარსული წყვეტილი; 6.6.3. ნამყო უწყვეტელი; 6.6.4. ხოლმეობითი; 6.6.5. II კავშირებითი; 6.6.6. მომავალი; 6.7. ინგლისური მოდალური ზმნა may და ქართულ ენაში და მისი გრამატიკულ-სემანტიკური შესატყვისები; 6.8. ინგლისურსა და ქართულ ენაში ვალდებულება/აუცილებლობის გამოხატვის გრამატიკულ-სემანტიკური საშუალებები; 6.9. ჩინური მოდალური ზმნების თარგმნა; 6.10. მოდალობის სისტემის კვლევა ჩინური, ინგლისური და ქართულ ენების იურიდიულ თარგმანში სისტემურ-ფუნქციური გრამატიკის (SFG) პერსპექტივიდან; 6.11. ჩინური იურიდიული ენის თარგმნის კვლევის მიმოხილვა; 6.12. მოდალობის სისტემის თეორია; 6.13. ჩინურ იურიდიულ დისკურსებში მოდალობის გამოხატველი საშუალებების ინგლისური და ქართული თარგმანი: მახასიათებლები და პრობლემები; 6.13.1. ჩინურ იურიდიულ დისკურსებში მოდალური ოპერატორების ინგლისური თარგმნის ზოგადი მახასიათებლები; 6.13.2. პრობლემური საკითხები მოდალობის გამოხატველი საშუალებების თარგმანში ჩინურ იურიდიულ დისკურსებში.

კვლევამ ცხადყო, რომ იურიდიული ენა და ჟანრი უფლებამოსილი და მავალდებულებელი ძალით განსხვავდება ზოგადი ენისგან (დეუ 2004). როგორც სამართლებრივი ენის ძირითადი ნაწილი, იურიდიული ენა წარმოადგენს წერილობით გაფორმე-

ბულ იურიდიულ დოკუმენტს, რომლის მიზანიც არის სახელმწიფოებრივი უფლებებისა და ნების ასახვა ენის გამოყენებით. საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ზრდასთან ერთად ჩინური კანონის და რეგულაციების თარგმანი ჩინური უცხოური ვაჭრობისა და გაცვლის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. ამ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის სამართლებრივი თარგმნის პრობლემებსა და მათი გადაწყვეტის გზებთან დაკავშირებული კვლევები, ადგილობრივი მეცნიერების ფართო განხილვის საგანს წარმოადგენს (ჭანგი 2004).

შედარებისათვის წარმოგიდგინთ სამენოვან პარალელურ თარგმნის ნიმუშებს:

第二十二條省、自治區、直轄市的人民代表大會常務委員會可以根據本法制定實施辦法 (城市組織法 C046)。

dì èr shí èr tiáo sheng zi zhì qū zhí xiá shì de rén mín dài biǎo dà huì cháng wù wěi yuán huì kě yǐ gēn jù běn fǎ zhì dìng shí shī bàn fǎ chéng shì zǔ zhī fǎ

ინგლისური თარგმანი: Article 22 Measures for the implementation of this Law **shall** be formulated, in accordance with this Law, by the standing committees of the people's congresses of provinces, autonomous regions and municipalities directly under the Central Government (City Organization Law C046).

ქართული თარგმანი: მუხლი 22 წინამდებარე კანონის განხორციელების ღონისძიებები **უნდა** იყოს ფორმულირებული წინამდებარე კანონის შესაბამისად, პროვინციების ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებული ხალხთა კონგრესების, ავტონომიური რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მუდმივმოქმედი კომიტეტების მიერ (ქალაქის ორგანიზების კანონი C046).

可以-ს არ აქვს აღსრულების ძალა სათარგმნ წინადადებაში, რომელიც ხელისუფლებას კანონის განხორციელების/აღსრულების გადაწყვეტის თავისუფლებას, ხოლო shall ზედმეტად გაზრდიდა ხელისუფლების ვალდებულების ხარისხს. შესაბამისად, მოდალური ზმნა may შესატყვისია 可以-ის სათარგმნად.

## ძირითადი დასკვნები:

სადისერტაციო ნაშრომის ამოცანა გავყავით ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სხვადასხვა სამართლებრივი ტექსტები, რომლებიც განვიხილეთ სინტაქსურ-გრამატიკულ ჭრილში და გვაანალიზეთ ოფიციალური ენის სინტაქსის საერთო ენობრივი პრინციპები და ნორმები. მეორე ჯგუფში კი, გავაანალიზეთ სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნის მთავარი მიმართულებები, ტენდენციები და პრობლემატიკა რამდენიმე მიმართულებით.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა სამართლებრივი ტექსტები სინტაქსურ-გრამატიკულ ჭრილში, მოცემულია ოფიციალური ენის სინტაქსის საერთო ენობრივი პრინციპები, ნორმები, პრაქტიკული პრობლემები და სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნის ძირითადი ტენდენციები. თანამიმდევრობით არის წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის შემაჯამებელი დასკვნები:

1. სამართლის წარმოშობა საქართველოში – უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველყოფილ, წინასახელმწიფოებრივ საზოგადოებაში არსებობდა ერთიანი მონონორმები, წეს-ჩვეულებები;
2. ჩინური სამართალი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია. ჩინეთის თანამედროვე სამართალი გერმანიკულ სამოქალაქო სამართალსა და ჩინეთის ტრადიციებს ემყარება;
3. სწორი თარგმანის განხორციელება შეიძლება ორიგინალის სწორი გაგების შემთხვევაში. თუმცა, ეს ყოველთვის არ გულისხმობს სწორი თარგმანის შესრულებას.
4. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკვივალენტების გამოყენებას სიტუაციის მიხედვით;
5. მორფოლოგიური თავისებურებები და მათი არსებობა სიტყვათა სინტაქსურ კავშირებში სხვადასხვაგვარია, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ცვლილებები სიტყვათა მნიშვნელობაში.
6. იურიდიული თარგმანი არის ის თარგმანი, რომელიც ეხება სამართალმცოდნეობის სფეროს. ეს დარგი კი, უკავშირდება

- ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ თავისებურებებს.
7. რამდენადაც წინადადებაში გამოთქმული აზრის მიზანი სხვადასხვაგვარია, წინადადებათა ტიპები საინტერესოა მოდალობის მიხედვით. ოფიციალურ-საქმიანი, სამართლებრივი დოკუმენტები გადმოგვცემს ინფორმაციას, ცნობას გარემომცველი სინამდვილიდან ან გამოხატავს ნებასურვილს, დავალებას, რომლის შესრულებასაც მოითხოვს ადრესატისაგან;
  8. სამართლებრივი ენის სინტაქსი საერთო ნორმებს და ენობრივ პრინციპებს ემყარება. ოფიციალური ტექსტის დანიშნულებიდან და ოფიციალურ-დოკუმენტური სტილის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიდან გამომდინარე იგი ხშირად განსაზღვრავს ტექსტის აგების სტრუქტურასა და წესს;
  9. სამართლებრივ დოკუმენტებში გამოიყოფა სხვადასხვა სტრუქტურის და სირთულის წინადადებები, რომელიც გავრცობილ ერთგვაროვან წევრთა სიხშირესა და განკერძოებულ გამოთქმათა აქტივიზაციაში ვლინდება;
  10. ოფიციალურ-საქმიანი, თუ სამართლებრივი დოკუმენტების ძირითადი დანიშნულება ინფორმაციის გადმოცემაა. გარდა ამისა, სამართლებრივი საკანონმდებლო ხასიათის დოკუმენტებისათვის დამახასიათებელია გრძელი, შერწყმული და რთული (თანწყობილი და ქვეწყობილი) წინადადებები, ზერთული სინტაქსური კონსტრუქციები;
  11. ოფიციალური დოკუმენტებისათვის ნიშანდობლივია შერწყმული წინადადებები. ამგვარი წინადადებები ყველაზე მისაღები სინტაქსურ-სტილისტიკური საშუალებაა აზრის გადმოსაცემად: ერთგარი წევრები უფრო სრულად და სრულყოფილად გადმოსცემენ შინაარსს და აძლიერებენ წინადადების სემანტიკურ მხარეს. სამართლებრივ დოკუმენტებს კი, აკლია ექსპრესიულობა და ემოციურობა;
  12. რაოდენობრივად, სამართლებრივ დოკუმენტებში უფრო რთული წინადადებები გვხვება, ვიდრე მარტივი. ნაკლებად შეინიშნება თანწყობილი წინადადებები. ქვეწყობა, რთულ წინადადებებში თანწყობას თითქმის სამჯერ აღემატება,



უფრო ნაკლებად გვხვდება ერთდამოკიდებულებიანი ქვეწყობილი წინადადებები. ერთზე მეტ დამოკიდებულებიანი სტრუქტურები ხშირია. სამართლებრივი დოკუმენტების სტილი უფრო მეტად სამეცნიერო სტილთან არის ახლოს, ვიდრე პუბლიცისტურთან.

13. საინტერესოა წინადადებათა ტიპები მოდალობის მიხედვით, რამდენადაც სხვადასხვაგვარია წინადადებაში გამოთქმული აზრის მიზანი. სამართლებრივი დოკუმენტები გადმოგვცემს ინფორმაციას, ცნობას გარემომცველი სინამდვილიდან ან გამოხატავს ნება-სურვილს, რომლის შესრულებასაც მოითხოვს ადრესატისაგან;
14. იურიდიული დისკურსის სპეციფიკური ჟანრი მოიცავს გამოთქმების უჩვეულო ფორმების გამოყენებას, სიტყვების შერჩევასა და წინადადებების შედგენას. სისტემურ-ფუნქციურ გრამატიკაში (SFG) მოდალობის სისტემის და ლინგვოკრიმინალისტის სამართლებრივი ენის თეორიის საფუძველზე, მოცემული კვლევა დაიგეგმა ჩინური იურიდიული დისკურსების ინგლისურად თარგმანში მოდალობის სისტემის შეფასებისა და თარგმანთან დაკავშირებული პრობლემების განხილვის მიზნით.

ჩინური, ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი მთარგმნელობითი ანალიზის საფუძველზე ჩვენ შევისწავლეთ და შევაჯამეთ მრავალი სხვადასხვა პრობლემა და წარმოვადგინეთ მათი მოგვარების ლინგვისტური საშუალებები. ერთი რამ ცხადია: საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ჩართულობა აუცილებლად ხელს შეუწყობს, ქართული, ინგლისური და ჩინური ენის სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნის განვითარებას. ჩვენი მეთოდური რჩევები კი უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება ამ პროცესში.

## სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები

- 1) თამარ პატაშური, ქალთა უმცირესობა ჩინეთის პოლიტიკაში, საერთაშორისო კონფერენცია „მსოფლიო და გენდერი“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრესა, ნაშრომების კრებული, გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრი, თბილისი, 2017; გვ. 261-264.
- 2) თამარ პატაშური, თარგმნის სირთულე და მასთან დაკავშირებული პრობლემები, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, №37, თბილისი, 2018, გვ. 17-21.
- 3) თამარ პატაშური, სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნის ასპექტები ინგლისური, ჩინური და ქართული ტექსტების მიხედვით, „სამეცნიერო შრომები“, №17, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2018 (ინგლისურად, მზადდება გამოსაცემად)
- 4) თამარ პატაშური, „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ - საქართველოსა და ჩინეთს შორის თანამშრომლობის გეგმები“, საერთაშორისო კონფერენცია: „ერთი სარტყელი – ერთი გზის“ ინიციატივის გეოპოლიტიკური ასპექტები“ თბილისი, 2018 (მზადდება გამოსაცემად).
- 5) თამარ პატაშური, ჩინური სამართლის ისტორიული განვითარება, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, №36, 2018, გვ. 51-57.



**St. Andrew the First-Called Georgian  
University of the Patriarchate of Georgia**

School of Humanities & Law:

Doctoral Program: Philology

*Rights Manuscript*

**Tamar Patashuri**

**Aspects of translating legal documents based on English,  
Chinese and Georgian texts**

**For earning the academic degree of Doctor of Philology (Ph.D)**

**Abstract of a doctoral thesis**

**TBILISI  
2019**

The abstract of a Dissertation conducted for the purpose of obtaining an Academic degree of Doctor of Philology.

**Dissertation Supervisor:**

**Lela Abdushelishvili**, PhD in Education Sciences,  
International Black Sea University,  
Associate Professor.

**Dissertation Co-Supervisor:**

**Liu Guanghua**, PhD in Law,  
PRC Lanzhou University, Professor.

**Official Opponent:**

**Tamar Natroshvili**, PhD in Philology,  
University of Georgia, Associate Professor.

**Official Opponent:**

**Natela Mosiashvili**, PhD in Philology,  
Tbilisi State University.

The dissertation will be defended at \_\_\_\_\_ on \_\_\_\_\_ 2019 at Philology Section of the Dissertation Commission session of the Faculty of Humanities Sciences & Law at St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

**Address:** Ilia Chavchavadze Ave. 53 a, Tbilisi, 0162. Georgian University, St. Ilia Martali session hall, IV floor.

The PhD dissertation will be available at the scientific library of the Georgian University.

**The dissertation abstract was distributed on „\_\_\_\_\_“ \_\_\_\_\_, 2019.**

Scientific Secretary of the Dissertation Board:

Doctor of Philological Sciences,

**Prof. Nino Mamardashvili**

## **General Description of the Dissertation**

### **Topic actuality**

The actuality of the topic is determined by expansion of close market and business relations between Georgia, foreign countries and China, within the scope of the help of close market within the the Silk Road Economic Project "One Belt, One Road". It is worthnoting that China is Georgia's third largest trading partner. Which is reflelected innumerous agreemnersts signed between these two countries.

Therefore it is necessary to prepare the appropriate working documents in English, Chinese and Georgian languages at the respective level, which requires translators to have respective competencies and focus on various aspects of translation.

### **Main aims and objectives of research**

The aim of the dissertation is to standardize various aspects of translating of legal documents in the above mentioned three languages, identify main complicated translation elements and overcome challenges by means of respective methodology. Its objective is to research formal-semantic and structural-semantic research by means of comperativie analysis of English, Chinese and Georgian legislative texts.

